ხელშეკრულება №02/122
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ
CPV: 79800000 – ბეჭდვა და მასთან დაკავშირებული მომსახურებები
CPV: 79810000 – ბეჭდვითი მომსახურებები

ქ. თბილისი **4 ნოემბერი, 2016 წელი**

ერთი მხრივ, სსიპ „შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი", წარმოდგენილი მისი გენერალური დირექტორის – მარინე ჩიტაშვილის სახით (შემდგომში - შემსყიდველი) და მეორე მხრივ, შპს „არტ ქოლორი" წარმოდგენილი – დირექტორის შორენა მურაჩაშვილის სახით (შემდგომში – მიმწოდებელი), „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-10[1] მუხლის მე-3 პუნქტის „ვ" ქვეპუნქტის საფუძველზე, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი და ობიექტი

1.1 ხელშეკრულების საგანია მიზნობრივი გრანტის დაფინანსების ფარგლებში ევროკავშირის კვლევისა და ტექნოლოგიური განვითარების მეშვიდე ჩარჩო პროგრამით (EP7) დაფინანსებული პროექტის „აღმოსავლეთ პარტნიორობის (EaP) ქვეყნების მეცნიერების, ტექნოლოგიისა და ინოვაციის საერთაშორისო თანამშრომლობის ქსელი" Inco Net EaP-ის ფარგლებში გასამართ შეხვედრაზე მოწვეული სტუმრებისთვის ბრენდირებული ბლოკნოტის, კალამის, საქაღალდის ბროშურის, ტრიპლეტის, ფლეშ-მეხსიერების სახელმწიფო შესყიდვა წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით.

1.2 ხელშეკრულების ობიექტია:

სამუშაოს /პროდუქციის დასახელება	ფასი/ლარი	რაოდენობა	თანხა/ლარი
კალამი ბრენდირებით	1,65	150 ცალი	247,50
ბლოკნოტი (ზომით 210 *145მმ, ყდის ბეჭდვა 4+0 300გრ. ცარცი მატოვი ლამინაციით, შიგთავსი 80 გრ. ოფსეტი. მეტალის ზამბარა გვერდითა მხრიდან)	5,50	150 ცალი	825,00
საქაღალდე (215*305მმ, მოცულობითი, ბრისტოლი მატი ლამინაციით და კვეთით, 1 მოცულობითი ჯიბით, ჯიბეზე ჭრით, , ბეჭდვა 4+0)	4,50	150 ცალი	675,00
ბროშურა (A5, ორი სახეობა, 8 გვ. ბეჭდვა 4+4, დისპენსიური ლაკით 300გრ. ცარცზე, აკინძვა სტეპლერზე)	3,81	150 ცალი	571,50
ტრიპლეტი (200 გრამიან ცარცზე)	2,38	150 ცალი	357,00
ფლეშ მეხსიერება ბრენდირებით (8GB)	18.50	150 ცალი	2775.00

საერთო ღირებულება 5451.00 ლარი.

მუხლი 2. შესყიდვის ობიექტის ხარისხი

2.1 მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას, რომ გაწეული მომსახურების ხარისხი უპასუხებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებს და დააკმაყოფილებს შემსყიდველის მოთხოვნებს.
2.2 შესყიდვის ობიექტის ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს ამ სფეროში არსებულ სტანდარტებს და ტექნიკურ ნორმებს.

მუხლი 3. ხელშეკრულების საერთო ღირებულება

3.1 ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს: 5451.00 ლარი. (ხუთიათასოთხასორმოცდათერთმეტი) ლარს, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გადასახადის ჩათვლით.

4. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები და ადგილი

4.1 შესყიდვის ობიექტის შემსყიდველისათვის გადაცემა განხორციელდება ხელშეკრულებაზე ხელმოწერიდან არაუგვიანეს 2016 წლის 6 ნოემბრის ჩათვლით.
4.2 შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილია – მიმწოდებლის მისამართზე: ქ. თბილისი, ალექსიძის ქ. N1.

მუხლი 5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1 შესყიდვის ობიექტის მიღება განხორციელდება მიღება-ჩაბარების აქტით, შემსყიდველისა და მიმწოდებლის უფლებამოსილი წარმომადგენლის ხელმოწერით.
5.2 ხელშეკრულების შესრულების კონტროლზე და ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიღება-ჩაბარების აქტების გაფორმებაზე პასუხისმგებელ პირს წარმოადგენს: სსიპ „შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის" ფონდის საერთაშორისო ურთიერთობებისა და ფონდების მოზიდვის სამსახურის უფროსი **მარიამ ქებურია.**
5.3 საქონლის გადაცემისა და მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების პარალელურად, მიმწოდებელი გამოუწერს და გადასცემს შემსყიდველს შესაბამის საგადასახადო დოკუმენტაციას.

მუხლი 6. ანგარიშსწორება

6.1 შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით.
6.2 შემსყიდველი ვალდებულია მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან არაუგვიანეს 10 (ათი) კალენდარული დღის განმავლობაში.
6.3 ანაზღურების საფუძველია მიღება-ჩაბარების აქტი და საგადასახადო დოკუმენტაცია.

მუხლი 7. მხარეთა უფლება-მოვალეობები

7.1 შემსყიდველს უფლება აქვს:
- შეამოწმოს შესყიდვის ობიექტის ხარისხის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან;
- მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების ჯეროვანი, დროული და კეთილსინდისიერი შესრულება;

7.2 შემსყიდველი ვალდებულია:
- მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ამ ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადებში;
- წერილობითი ფორმით გონივრულ ვადებში აცნობოს მიმწოდებელს საქონლის მიწოდების დროს აღმოჩენილი რაიმე წუნის შესახებ;
- დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობები.

7.3 მიმწოდებელს უფლება აქვს:
- მოსთხოვოს შემსყიდველს მიწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;
- მოითხოვოს შემსყიდველისაგან ხელშეკრულების სხვა პირობების დაცვა.

7.4 მიმწოდებელი ვალდებულია:
- დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

მუხლი 8. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას

8.1 მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
8.2 თუ ხელშეკრულების რომელიმე მხარე დაარღვევს წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებას, მაშინ ხელშეკრულების მეორე მხარეს შეუძლია მოითხოვოს ხელშეკრულებიდან გასვლა ვალდებულების შესრულებისათვის მის მიერ დამატებით განსაზღვრული ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ (დამატებითი ვადის განსაზღვრისათვის გამოიყენება წერილობითი ფორმა). თუ ვალდებულების ხასიათიდან გამომდინარე შეუძლებელია გამოყენებულ იქნას დამატებითი ვადა, მაშინ დამატებითი ვადის განსაზღვრას უთანაბრდება გაფრთხილება.

8.3 ხელშეკრულებიდან გასვლისას მხარეს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობით.
8.4 ხელშეკრულებიდან გასვლასთან და ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის შესაბამისი მუხლები.
8.5 შემსყიდველი უფლებამოსილია მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით განსაზღვრული საქონლის მიწოდების ვადების დარღვევის შემთხვევაში დააკისროს მიმწოდებელს პირგასამტეხლო დროულად მიუწოდებელი საქონლის ღირებულების 0,1%-ის ოდენობით ყოველ გადაცილებულ დღეზე.
8.6 გადახდის ვადის დარღვევის შემთხვევაში, მიმწოდებელი უფლებამოსილია დააკისროს შემსყიდველს პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე გადაუხდელი თანხის 0,1%-ის ოდენობით. ასეთი უფლებით მიმწოდებელმა შეიძლება ისარგებლოს მხოლოდ საკუთარი შეხედულებისამებრ და იგი არ წარმოადგენს მის ვალდებულებას.

მუხლი 9. ფორს-მაჟორი

9.1 ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.
9.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.
9.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

მუხლი 10. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

10.1 ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელის მოწერის დღიდან და მოქმედებს 2016 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

მუხლი 11. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

11.1 შემსყიდველი უფლებამოსილია მოახდინოს გაწეული მომსახურების შემოწმება, რომლის მიზანია მისი შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან.
11.2 შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ შემსყიდველი დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს მიმწოდებელს დაწუნებული საქონლის ნაწილის და წუნდების მიზეზების მითითებით.
11.3 გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელახალ ინსპექტირებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.
11.4 ხელშეკრულების ინსპექტირებას შემსყიდველის მხრიდან განახორციელებენ წინამდებარე ხელშეკრულების 5.2 მუხლში მითითებული პირ(ებ)ი.

მუხლი 12. სადაო საკითხების გადაწყვეტა

12.1 ხელშეკრულების დამდები მხარეები თანხმდებიან მასზედ, რომ ყველა ღონეს იხმარენ, რათა პირდაპირი მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა საკითხების ირგვლივ.
12.2 თუ შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს უფლება აქვს დავის გადაწყვეტის მიზნით დადგენილი წესით მიმართოს საქართველოს საერთო სასამართლოებს.

მუხლი 13. სხვა პირობები

13.1 მხარეები აუნაზღაურებენ ერთმანეთს მიყენებულ ზარალს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

13.2 არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

13.3 მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

13.4 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან (ერთი პირი მიმწოდებელთან და ერთ პირი შემსყიდველთან). ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

13.5 წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

მუხლი 14. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

შემსყიდველი
სსიპ შოთა რუსთაველის
ეროვნული სამეცნიერო ფონდი
მის: ქ. თბილისი
ალექსიძის ქ. 1
სახელმწიფო ხაზინა
ბ/კოდი 220101222
ა/ა 200122900
ს/კოდი: 204578064

მიმწოდებელი
შპს ,,არტ ქოლორი"
მის: ქ. თბილისი, ვაზისუბანი, მეოთხე მიკრო რაიონი,
პირველი კვარტალი

ს/კოდი 406125205

,,პროკრედიტ ბანკი"

ა/ა GE91PC0323600100005387

სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული
სამეცნიერო ფონდის
გენერალური დირექტორი

მარინე ჩიტაშვილი

დირექტორი

შორენა მურაჩაშვილი

ხელწერილი
ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ

ქ. თბილისი

04 ნოემბერი, 2016 წელი

ჩვენ, ქვემოთ ხელისმომწერნი ვადასტურებთ, რომ სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ სახელმწიფო ბიუჯეტის ფარგლებში ბეჭდვა და მასთან დაკავშირებული მომსახურებების სახელმწიფო შესყიდვის განხორციელებასთან დაკავშირებით, ჩვენი მონაწილეობა არ ეწინააღმდეგება ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მოთხოვნებს და შესყიდვაში მონაწილეობით ინტერესთა კონფლიქტში არ ვიმყოფებით შპს ,,არტ ქოლორი-სთან".

სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორი

მარინე ჩიტაშვილი -

სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის მოადგილე

გიორგი ჟღენტი -

სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის საფინანსო-ეკონომიკური და მატერიალური უზრუნველყოფის დეპარტამენტის უფროსი

მალხაზ ხოფერია –

სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის იურიდიული და ადმინისტრაციული უზრუნველყოფის დეპარტამენტის უფროსის მოადგილე

მარიამ იაშვილი –

სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის საფინანსო-ეკონომიკური და მატერიალური უზრუნველყოფის დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტის მ.შ

მინდია მაზმიშვილი –

სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის საერთაშორისო ურთიერთობებისა და ფონდების მოზიდვის სამსახურის უფროსი

მარიამ ქებურია–